

# მ ა ტ ყ ე მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა შ ი ლ ი .

## განჩინებანი უწმიდესი სინოდისა.

13—25 მაისიდგან 1888 წელსა № 1046, უმაღლესი ბრძანებისა გამო, რომლის ძალით ეკულესიებს და მონასტრებს ენიჭებათ უფლება შეტანის შესანახვად ქალაქების შემნახველ კასებში ათას მანეთზე მცტიც.

ვ ი რ ი .

უქაზისა მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უძართებულესმა სინოდმა მოისმინა: წინადაღება უ. სინოდის ობერ-პროგურორისა, 6 მაისიდგან 1888 წელსა № 5924, რომელშიაც განმარტებულია მემდევი: მოქმედ დადგენილობათა ძალისა გამო გუბერნიის და მაზრის ხაზინებთან არსებულ შემნახველ-დამზოგებელ კასებში გარეშე პირთა უფლება აქვთ. შეიტანონ ფულები შესანახვად და სასარგებლოდ თხე-პროცენტად, იმ პირობით, რომ, როდესაც კი ფულის შემნახველის ანგარაშით, თავნი და სარგებელი შესრულდება ათას მანეთამდის, მაშინ სარგებლის მლევა მთელს ჯამშე ისპობა, და შეტანილი ფული რჩება შესანახვად კასამი უსარგებლოდ შემდევი დროისათვის. იმის მიხედვით, რომ თავის უფლები ფულების დამზოგებელ კასებში შეწახვა, რამდენიც უნდა იქოს ეს ჯამი, საადვილო და სასარგებლო იქნება ეკულესიებისა და მონასტრები. სათვის, არილის პირველსა დღესა 1888 წელ-

სა მოხდა ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ნება-როვა, რათა ეკულესიებს და მონასტრებს მიენიჭოთ უფლება თავისუფალი ფულების ქალაქების დამზოგებელ კასებში სასარგებლოდ შეტანისა, უმეტეს ათასი მანეთისა, იმ ფულებიდებან, რომელთაც დროებითი დანიშნულება ექნებათ, როგორც მავალითად: ასალი ეკულესიების სამენებლად, ზარების სასუიდლად, ეკულესიების სალაროს გასაკეთებლად და სხვ. და რომელნიც ამიტომ უცებ დასხარჯავნი არ არიან, პირისით თან-და-თან უნდა მოაქოლებოდენ, როგორც სარგებლით, აგრეთვე სხვ-და-სხვა შესაძლო შემსახვლით, სანამ არ შესდგება ჯამი, საჭირო რომელიმე ხარჯისათვის; მისი დამოწმება, თუ რომელ ჯამს გუთვნის შესანახი ფულები, ექვემდებარება ადგილობით ეკულესიებისა და მონასტრების ბლადოჩინებს. ზემოთ აღნიშნული ფინანსთ მინისტრისა აცნობა სახელმწიფო ბანკის მმართველობას, რათა მან თავისი მხრით ჯერვენი ბრძანება მისცეს ამ საგნის შესახებ შემნახველ კასებს. ბრმანების ეს განმარტებული უმაღლესი ბრძანება დაიბეჭდოს „საეკულესი უწევებაში“.



უქაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, რუსეთის თვით-მკურნბელისა, უწმიდესი და უმართებულესი სინდიფიციანი, სინოდის წევრს, საქართველოს ექსარხს, უსამღვდელოებს. პალლადის, მთავარეპისკოპოს გართლისა და კანონისას.

უქაზის მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. სინოდის ობერ-შროკურორისა, 19 თებერვლიდამ 1888 წ. № 2477, სოფლის ერთი ეკლესიდგან სახელმწიფო ბანკის სახელობითი ბილეთების მოტაცების შესახებ. შემდეგ ჯეროვანი გამოკითხვისა თღმოჩნდა: უწმდესი სინოდის ცირკულიარული უქაზით 9 სექტემბრიდამ 1873 წელსა მიწერილი ჭქანდათ ეპარქიის მდვრელ-მთავრების, რათა მათ ებრძანათ ეკკლესიების კრებულთა და სტაროსტებისათვის, რომ ამ უანასკნელთ არასოდეს არ დაეტოვებიათ ეკკლესიაში ას მანეთზე მეტი, რომ საკრედიტო ღწევებულებაში შეტანილი საკულტო ფულებით უსათუოდ მოქმედიათ სახელობითი ბილეთები ეკკლესის სახელზე, და, თუ რომელიმე ეკკლესიაში იქნებოდა შინაგანი სესხის მომებიანი ბილეთები, დაუუღნებლივ, გადაუცარ ეს ბილეთები ბარათების ჩამორთმებით, ეკკლესის სახელზე, შესანახვად სახელმწიფო ბანკი, ანუ ამ ბანკის ადგილობით განტორებსა და განკოფილებაში. ამასთანავე ეკკლესიების კრებულს და სტაროსტების ეცნობათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს უქაზი არ იქმნებოდა მათვან აღსრულებული, დამამაკენი მიცემოდენ განონიერ პასუხის გებაში. ბრძანება: მივიღეთ რა სახელის

რომ ეკკლესიებიდგან ხშირად იტაცებენ ეკკლესისადმი კუთვნილ სარგებლიან ქადაღდებს და დაკარგული ბილეთების სამაგიეროდ ახალი ბილეთების მიცემის დროს, დაკარგული ბილეთების გუპონების ფურცლებიადარ უბრუნდებათ ეკკლესიებს, რათა გამო იგინი კაგვის სარგებელს, რომელიც უნდა შემოსვლოდა მდგრესის დაკარგული კუპონებისაგან, უწმიდესი სინოდი, ეკკლესიების ინტერესის დასაცველად, განაწევებს: მიეწეროს ეპარქიის მდვრელ-მთავრებს, დასამატებლად უწმიდესის სინოდის უქაზისა, 9 სექტემბრიდამ 1873 წლისა, რომ საზოგადოდ ეკკლესიებისადმი კუთვნილნი ეველა სარგებლიანი ბილეთები, რომელთაც კუპონები აქვთ, როგორც სახელობითი, ისე ამა ბილეთების წარმადგენელთა სახელობაზე, გავზაფნილ იქმნენ. შესენახავდ სახელმწიფო ბანკი, ან მის განკოფილებასა და კანტორებში. მარტის 31 დღესა 1888 წ. ობერ-სექტორისა რ. ბოლინსკი, სეკრეტარი უმავოვი.

სწორია: სეკრეტარი სინოდდანი კანტორის სუხიევი.

შემოწმე: სტოლის უმფროთა კინაველიძე.

სამართველო-იმპრენის სინოდალური კანტინისაგან.

ბლალოჩინს მდვრელს ისებ ხუციევს, საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორის სახელობაზე ღაწერილი თხოვნების მიღებისა და მათი გამოგზავნისათვის კანტორის სახელმწიფო პაკეთით, რომელიც იწონდა ხულოტის, ძალისა გამო დასჯათა წესდების 1125 მუხლისა, გამოეცხადოს შენიშვნა და გადახდეს ამ პაკეთის გამოგზავნისათვის თითოეულ ლოტზე 90 კაპ. სულ 4 მ. 50 კაპ. აღსაღვენელად იმა ზარალისა, რომელიცა მან მისუა ხაზინას.

# ანუასი

1883-1888

— ანუასი გამოდის თვეში ორჯერ, უკველი თვის ახალი ქანის და ოც-და-ათ რაცხვებში. თა—

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»	«მწყემსი» რუსული გამოცემი
12 თვით . . . . 5 მან.	12 თვით . . . . 6 მან.
6 — . . . . 3 —	6 — . . . . 4 —

გაზეთის ფულის და უოგელ გვარი წერილების გაგზავნა  
შეიძლება რედაქციაში ამ აღნესით: *Bz ჩიტის, Bz  
редакции „Микелси“ (Пастиш).)*

უკველი სტატიები და კორესპონდენციები, რომელიც  
როდა უკველი იქნებან გამოგზავნილი დასაბეჭდავათ, უურდ  
გრულად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-  
მოწერილი, ავტორთაგან გამოგზავნილ სტატიები შეიძლება  
ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაისტურონ.

სტატია, რომელიც არ დაიძებდებიან, სამი თვის განმავ-  
ლობაში შეძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებან რუსულ ენაზე დაწერილიც და  
თარგმნით დაიძებდებიან.

უკველად სამღვდელო იმპრენტის ეპისკოპოსი  
განცხალი. \*)

საქართველოს ეკკლესიის მღვდელობრივი მთავრებები  
ერთი უპირველესი ადგილი ეკუთხის უკველად სა-  
მღვდელო ბაბრიელს, იმერეთის გისკოპოზე. უკ-  
ლად სამღვდელო დაიბადა მაზრაში, სოფელს ბახვში (ბუჩიაში); იგი წარმოსდგება აპ-  
ნაურთ მიქოდეთა გეარეულობისაგან; უკველად სამღვდე-  
ლოს მამა იყო ერთი ლარიბი მრევლის მღვდელი.  
შრისკაცობაში უკველად სამღვდელო იწოდებოდა ზერა-  
სიმეთ. პირველ დაწებითი ღლზრდა მან მიიღო თავის  
დებიტის მოყვარე მშობლებისაგან, რომელთაც თავის  
პატარა ზერსიმეს, ლეთისაგან უხვად დაჯილდოებული  
მაღლითა და ნიკიერებითა თავიდამე შთაუნერებეს სულში  
თესლი ჭერიმარიტის სიყვარულისა დეთისა, ტახტისა, სამ-  
შობლითისა და განათლებისადმი. როცა სკოლაში მიცემის  
დრო შეუსრულდა, პატარა ზერსიმე მისცეს თბილისის  
სასულიერო სასწოლებელი, აქედან კურის დამთავ-  
რების დებიტი, უკველად სამღვდელო შევიდა თბილი-  
სის სასულიერო სკოლაში, მაგრამ სამი წლის

შემდეგ გადაიდა პაკონის და შემდევ ჰერერბურგის  
სემინარიაში \*) ჰერერბურგის სემინარიაში კურსის  
შესრულების შემდევ, უკველად სამღვდელო შევი-  
და ჰერერბურგის აკადემიაში, რომელშიაც კურსი  
შეარტილ 1849 წელს მაღისტრის ხარისხით. მას-  
კოპო და ხელ-დასხმის წინად იყო მსახურებდა თბი-  
ლისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორიად და ასწა-  
ვლიდა ფრიას და მათემატიკას. თუმცა უკველად სა-  
მღვდელო მრავალ გერმინა სამსახური ჰქონდა, მაგრამ იყი-  
ძევითად კითხულობდა ფილოსოფიურ, პისოდოფიურ,  
ფრიულ და ლითის მეტყველების წავნებს; ამ მუდ-  
მიები მეცადინობის შედევი იყო მისი თხზულება რუ-  
სულს ენაზე «Опытная психологія», რომელიც გა-  
მოედა საბეჭდავ და 1858 წელში და რომელიც  
მაშინევ იქმნა მიღებული სახელ-მძღვანელო წიგნად  
როგორის საშუალო სასწავლებლებში. და სა-  
ქებურის ლისხებით იქმნა დაფასებული ნემცეურის  
კრიტიკისაგან. 1854 წ. იყი ხელ-დასხმულ იქმნა

\*) მას თავის ხარჯით ზრდიდა ერთი მასწავლებელი და  
ხადაც ეს მასწავლებელი გადაჭევადა ხოლმე სამსახურში,  
მას თავის მოწავეც თან მიჰყავდა.

\*) უკველად სამღვდელო გამრიელის სერიოზული იქნება და-  
ქმდილი შემდეგ ნომერში.

საქართველოს ექსარხოსად ყოფილის, დღეს პეტერ-ბურგის მატრაპოლიტის წილდომებისაგან და დატოვებულ იქმნა სემინარიის პროფესორად და ობილისის საქალებო სასწავლებლის სჯულის მაწავლებლად. მაგრამ დეისის-განგებულება სულ სხვა უმაღლეს სამსახურს უმზადებდა მას. მოკლე დროის განმავლობაში მას მოუკედა მეულე და ყველა შეილები და 1858 წელში ალკეცილ იქმნა ბერად და სახელად ეწოდა ზაბრიელი; შემდეგ წელში, 6 იანვარს მან მიიღო არქიმანი დროითმა, 6 დეკემბერს იგი ალკეცილ იქმნა ეპისკოპოზის ხარისხები და დანიშნა საქართველოს ექსარხოსის ვიკარად, და 1860 წელს მეტეორის ეპისკოპოზად, სადაც იგი დღემდის მსახურებს და თავს ბრძნული ხელ მძღვანელობით მმართვეს მეტეორის ეპარქიას აგრ 28 წელიწადი.

შოვლად სამღედელო ზაბრიელი აღვიდა მეტეორის კათედრაზე სწორეთ იმ დროს, როცა ეს ეპარქია მთლად დაცემული იყო. უწინდელს დროში საქართველოში არსებული საეპისკოპოსო კათედრაზე ეპისკოპოსებად ინიშნებოდნ უმეტესად თავადები და სამეცნ გვარეულობის პირი, რომელთაც მხოლოდ ერთი მარტო შინაური განათლება ჰქონდათ მიღებული. მს ეპისკოპოსები მართავდნ ეპარქებს თავიანთ სურილისა მებრ, რაისა გამო საქართველოს ყველა ეპარქებში, მათ რიცხვში მეტეორის ეპარქებშიაც სუ-ფერდ დიდი უწესობება. მკალესიები იყო პატარაები და ისინიც მთლად დაცემული და მკალებულნი შინა-გან მორთულობას, ზოგიერთ ეკალესიებში დაიდის გაჭირებით დაეტეოდა 20.30 კაცი. მაღები კი იდვნენ დასავ-ლეთის მხრით ეკალესიზე მიშენებულ ხის საღვამში, რომელიც იწოდებოდა საქალებოდ; აქედან ქალებს არ შეეძლოთ დაენახათ და გაეგოთ ის, რაც სრულ-დებოდა ეკალესიში დეისის-მსახურების დროს. მკალე-სიები სრულიდან მკალებულნი იყენენ შინაგან მორ-თულობას. მთელ ეპარქიაში ოც-და-ათ ეკალესიში თუ ნახედა კაცი შესაფერს კანკელებს, თორებ და-ნარჩენ ტაძრებში ტრაპეზი გაყოფილი იყო უბრალო ფიცრებით, ამ ფიცრებზე ალავ-ალავ ეკიდა ხატები, რომლებზედაც დროთა-ვითარებისაგან მთლად წაშლი-ლი იყო გამოხატულებანი; ხატებ შორის ხშირად შეცდებოდა კაცს უბრალო ქალალდზე დახატულნი სა-ხეები წმინდანებისა; ეს ქალალდებიც მთლად დახ-რულნი იყვნენ ჭიებისაგან. ტრაპეზებზე გადაფარებული იყო უბრალო ჩითისაგან გაკეთებული ჭუჭუიან. ნი საფარები; ძეირად შექედვოდით ეკალესიებში, რომ ტრაპეზზე სანაწილე ყოფილიყო, ჯვარი იყო

ნახევრობით ხისა, ანუ სპილენძისა მოვერც-ლული, ხან-დის-ხან ჯვარი კალისაც იყო. ზერცხლით მორთულ სახარებას უერ ნახაედა კაცი. ზოგიერთ ეკალესიებში სამეცნო კარებზე არ იყო ჩამოფარებული კრეტ-საბმელი, ზოგიერთ ეკალე-სიებში კი თეთი სამეცნო კარებიც არ იყო; ამ კა-რების მაგიერად ჩითის ანუ ამერიკის ფარდა იყო ჩამო-ფარებული, საეკალესიო ნივთები უმეტესად იყო კა-ლისა და ესეებიც დროთა ვითარებისა გამო, მთლად გაშავაბული იყო. მანკელების და ხატების წინ კაცი უერ დაინახავდა შანდლებს და კანდლებს. მღვდლე-ბის შესამოსლები იყენენ ჩითისაგან შეკერილნი ან აბრეშუმებული, მაგრამ ნახევრობით დაგლეჯილნი და დახეულნი. ზანსაკუთრებით სამწუხარო იყო უბრალო და ნახევრობით გაჭუჭყანებული დაფარნების ნახა, რომლებითაც ჰუარავდებ ხოლმე წმ. ნაწილებს.

რამდენათაც ღარიბი და უნუგეშო იყო ეკალესიების მღვდლები, იმოდენად სამწუხარო მდგო-მარებაში იყო მეტეორის ეპარქიის სამღედელოება როგორც გონებით, ისე ნივთიერად.

მთელის მეტეორის ეპარქიაში 5-6 მღვდლები და მოიპოვებოდა სასულიერო სემინარიაში სწავლა დამ-თავრებული, თორებ დანარჩენი სამღედელოება, გარ-და მცირე ნაწილისა, რომელსაც სწავლა შესრულე-ბული ჰქონდა სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებ-ლებში, სულ გაუნათლებელი იყო. საქაო იყო, თუ მღვდლობის ადგილის მუზრველს ეცოდინებოდა ცოტა-ოდენი კითხვა საეკალესიო წიგნებისა და რადგან თვით მღვდლებმა საკალესიო წიგნების უაზროდ კითხვის გარდა არასურერი არ იცოდენ, ამიტომ მათ არ შეე-ლოთ განემარტო ხალხისათვის სარწმუნოების დოლ-მატები და ქრისტიანობის კანონები. რადგან მედა-ეითნებმა რიგიანად არ იცოდენ საეკალესიო წიგნე-ბის კითხვა და გალობა, ამიტომ დეისის-მსახურებთ ბევრს ადგილს უკანონოდ სრულდებოდა. ამ დროს შტატების წყობილება კიდევ არ იყო შემოღებული და ამიტომ სამრევლოებში ბევრი უდაფილო მღვდლი მოიპოვებოდა; სამრევლოები იყენენ მეტად მცი-რები და მრევლიც ღარიბი. სამწყსონი ხშირად რამ-დენიმე ვერსით იყენენ ხოლმე დამორებულნი ეკალე-სიაზე. მღვდლები სამრევლოების სიმცირისა და სიღარი-ბისა გამო თავადაც მეტად ღარიბი იყენენ და დახეულ-დაგლეჯილნი დარიოდენ. მღვდლებს არ ყოფნიდათ სამრევლოდან აღებული შემოსაფალი და ამიტომ ისინი უბრალო მუშა ხალხთან ერთად ეწეოდენ,

მუშაობას. ეს სიღარიბე და მუდამ ლუქშა პურჩე ზრუნვეა აკიშუებდა სამღვდელოებას თავის პირ-ლა-პირ მოვალეობას. მაგრამ მცხოვრის სამღვდელოების საქებურად უნდა აღვრიშვთ, რომ, თუმცა ეს სამღვდელოება ოკითონ გაუჩაილებელი და უსწორელელი იყო, მაგრამ ხალხში შეუჩერებულ დაცუ საგუშ-ნოება ქრისტესი და სიყვარული მართლ-მაღადებელი ეკვლებისა და მის წეს-წყობილებისადმი. მთელს მართლ-მაღადებელ საქართველოში მაგალითი არ ყოფილა, რომ ხალხი, ან მასი მკარე ნაწილი და შორებოდეს თავის მართლ-მაღადებელ ეკვლებისა და მის სწავლას, როდესაც დანარჩენ საქართვისანო ქეყ-ნებში ხშირად ხედავთ სხვა-და-სხვა მწერლებს. არ იყო შესაფერისი სახლი სასულიერო სასწავლებ-ლისათვის; არ იყო, არც საკრებულო ტაძარი. სამ-წუხარო იყო, როდესაც ხედავდა კაცი, რომ ფრან-გებს და სომხებს, რომელიც რიცხვით გაცალებით ნაკლები იყვნენ მართლ-მაჭიდებლებზე, მშენების დიდი და მდიდრულად მორთული სოპოროები ჰქონ-დათ, მუთაისის მართლ-მაღადებელი მკიდრნი კი იჯგუფებოდენ ქალაქის ერთ პატარა და ვიწრო ეკ-კლებიაში. ძერეთვე სისრულეში არ იყო მოყვანილი მთავრობის განკარგულება. რომლის ძალით მცხო-თის და მურის დასახლებული და დაუსახლებელი საეკლესიო აღვილები უნდა შეჩიტულიყო ეს ხა-ზინოდ. აი ამრთანა სამწუხარო მდგომარეობაში იყო იმერეთის ეპარქია, როდესაც ყოველად სამღვდე-ლო გამრიცელი აღვიდა ამ ეპარქიის ეპისკოპოსის კა-თელისადმი.

მცხოვრის ეპისკოპოსებში იყი პირები იყო, მაღალი მღვიმის მეტყველების სწავლა მიღებული რუ-სეთის აკადემიაში და ამიტომ ყოველად სამღვდე-ლო თავ-დაუგოგებელის ქრისტიანულ გულ-მოდგინე-ბით შეუდგა მისდამი ჩრდილებული ეპარქიის აღგი-ნების და ამაღლების საქმეს. უფელად სამღვდელო გამრიცელი ეპარქიის დაცემის უმთავრეს მიწერად რაც-და სამღვდელოების გაუჩათლებლობას, რაისა გამო მღვდლებს არ შეეძლოთ ცხოველი ქადაგებითი სიტ-ების წარმოთქმა. ამასთანავე მათი მეუება კარგად გრძნობდა, რომ ცხოველი სიტყვა უფრო მოქმედებს ხალხზე, ვინემ იფაულალური მაშერილაპარი და ამა-ტომ განათლებული მწყემსთ-მთავარი გამოდის ხალ-ხის ქადაგებელის ასპარეზე და ყოველივე თავის ძალ-ლონებს ანდომებს ხალხის ზერობითს და სარწეუ-ნოებრივს აღზრდას. უფელად სამღვდელომ როგორ

ნამდგილმა ქრისტიანობის მოღვაწეობი და ერის მშენებელი თავისი საეკლესიო კათედრა ხალხის სამ აძლევებელ და სულიერ განათლების კათედ რად აქცია. აი, ავერ ოცდა-მერევ წელიწადი სრულდება, რაც ამ კათედ-რიზმ მოისმის მასი მუკაც სიტყვა, ყველასათვის მოუფერებელი. მხილებელი საზოგადოების ყოველ გვარი ბიწიერებათა. მაღავებს იყი თათქმის ყოველ წირვის შემდეგ. ამ ქადაგებათ არ ეტყობა ორატო-რებრივი მეტყველება; ფრაზები აგებულია მარტივად. ხელოვნების უხმარებლად ეჭერების მოსაგრელელად; უფრო მეტს ვიტყვით: იყი თათქმის 『მსიქე ენისაა』, მაგრამ მსიქა როგორც ჰავლე მოციქული, რო-მელზედაც ბოსუეტი დიდის პატივით და აღტაცებით ლაპარაკობს. სხვა-და-სხვა გვარი ღალატება და პათე-ოსით წარმოთქმა მის მსმენელებს არ გაუგონიათ, მაგრამ ნათქვამში რა ძლიერება სჩანს სიტყვისა და რა სიმტკიცე რწმუნებისა! მისს მარტივს მართალს ენას თეისება აქეს განურებულის რკინისა, როდესაც ეხება მტკიცნეულს ადგილს, ხოლო როდესაც მოძღვრება-ში ნუკეშის სიტყვაა, მისი მეტყველება, სიწყარით მჭახეს ხმით გამოთქმული კაცს აღძრულის და მღლ-ვარე გულის სილრმეში ჩაეჭრება ხოლმე... სიტყვის სიმარტივე, ცხადი გამომეტყველება, თქმულის ში-ნაარისი, რომლის საგანიც ყოველოფის ნამდვილ ცხოვ-რების მოვლინება; მაღალი ჭეშმარიტება სარწმუ-ნოებისა და ზნეობისა, აადვილებს მწყემსთ-მთავრის მოძღვრებას და გასაკონია თეოთ ყრმათათვისაც. აი, რაშია ძალა მისრ სიტყვისა. ამ იშვიათ ღირსე-ბათა გამო, მისნი ქადაგებანი გადასთარგმნა ერთმა ინგლისელმა პასტორმა ინგლისურს ენაზე, რომელიც დიახ მდიდარია საღვთის-მეტყველო მწერ-ლობითა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ჩვენი შთაგაჭდილებაც და უნივერსიტეტი რუსთაშ  
მოგზაურობის დროს. \*)

(დასასრული).

რუსეთში მოგზაურობის დროს ჩვენზე კარგი  
შთაგეჭდილება მოახდინა საზოგადოდ რუსეთის  
სატახტო ქალაქების მცხოვრებლებმა, რომელნიც  
მტკიცედ ადგანან სარწმუნოებაზე და მოწინებით  
ფეხურობიან ყოველივე სამრთოს და ეკლესიას. მაგ-  
რამ მეტად ცუდი შთაგეჭდილება მოახდინა ჩვენ-  
ზე ზოგიერთ პირებთან შეხვედრამ, რომელთაც საქარ-  
თველოზე და ქართველებზე მეტად შემცდარი აზრი აქვთ  
შემდგარი. რუსეთში მოგზაურობის დროს ჩვენთვის სა-  
ინტერესო იყო შეგვეტყო რუსების აზრი ჩვენს  
საქართველოზე და ქართველებზე და ამიტომ ჩვენ ღილის  
შოწიწერთ ვისმენდით ხოლმე ყოველივე შენიშვნას  
რუსების წხრით, მაგრამ, საუბრეუროდ, არა ერთ გზის  
მოვიხდა ისეთი შენიშვნების და სიტყვების მოსმენა,  
რომელნიც მეტად საწყინი იყო ჩვენთვის. ზოგიერთ  
პირებთან ლაპარაკის დროს ჩვენ თვითონ ვწითლდე-  
ბოდით არა მართველების გულისათვის, არამედ თვით  
მობაასე პირთათვის, რომელნიც ასეთ უმეტებებს  
იჩენდენ საქართველოს და მის მკვიდრთა ცხოვრების  
შესახებ. სერგიევის ლაერაში, სული წმიდის მოფენის  
დღეს, ლეთის-მსახურების შემდეგ, ერთი ვაღაც ნამ-  
სახური საპატიო პირი ზ—ვი მოვადა ჩვენთან და,  
როცა გაიგო, რომ ჩვენ საქართველოდგან ვიყავით,  
შემდეგი კითხვები მოგვაც:

— ზანა ქართველები ჩვენს ეკკლესიაში დაიძე-  
ბიან? მოთხარით, გეთაყვა, ჩა განსხვავა არის ქართ-  
ველებსა, ლყველსა და ჩერქეზებს შორის?

— სუთივე განსხვავება არის მათში, როგორიც  
რუსებსა და თათრებს შორის.

— ზანა ქართველები ჩერქეზებივით არ იცმენ  
ტან?

— რუსის ყაზახებიც ჩერქეზებივით იცმენ, მაშა-  
სადამე, თქვენის აზრით, ყაზახები და ჩერქეზები ერთი  
და იგივენი არიან?

— შემდეგ ამ პირმა დამიწურ ლაპარაკი ქართვე-  
ლების სარწმუნოებაზე.

— ვკონებ, ქართველები ვროგორაანის სარწმუ-  
ნოებისანი არიან?

— მართველები მართლ-მაღილებელნი არიან,  
მოუგე მე.

— დასტრა თუ არა საქართველოში ჯმბობება  
რუსების წინააღმდეგ!

— სრვეიორარმე ამბოხება ჩვენში არ ყოფილა  
და არც იქნება, მოუგე მე.

— მაგ ის როგორმოხდა, რომ უბედური ჩ—კა  
მოჰკლებ?

— ის ისე მოკვდა, როგორც თქვენშიც კვდე-  
ბიან ხოლმე ზოგიერთნი პირი გარეშე პირებისაგან,  
რომელთაც არაეითარიმე და მოკიდებულება არა აქვთ  
ხალხთან.

— მარა სასიამოენო მუსაიფი შესწყვეტა უკელასაგან  
პატივული პირია ტ. ი. ვილიპპოვის მოსვლამ;  
როცა ბ. ვილიპპოვმა გაიგო, რომ მე ქართველი ვიყა-  
ვი, სიამოვნებით დამიწურ ლაპარაკი საქართველოზე  
და მასთან გადმომცუ ის მშვენიერი შთაბეჭდილება,  
რომელც ბ. ვილიპპოვს მიეღო საქართველოში  
მოგზაურების დროს 1886 წელში.

ზოგიერთ რუსებს, რომელნიც არც ერთხელ  
არ ყოფილან ჩვენში, მეტად ცუდი და შემცდარო  
წარმოდგენა აქვთ საქართველოზე და ქართ-  
ველებზე; მათის აზრით, მართველები ვითომ არაუ-  
რით არ გახსხვადებიან მთიულების და თათრებისა-  
გან, რომელთა დამორ ჩილებაზე კარგა ბევრი სისხლი  
და ულერიათ როგორც რუსებს, ისე ქართველებს.  
მან ბატონები საქართველოს ეძახიან «დამლუპელ  
კავკაზის». და ამ «დამლუპელ კავკაზიდებან ზოგიერ-  
თი წარსულნი გაბოროტებულნი რუსები, რო-  
ცა სამობლოში ბრუნდებიან, თავს მხო-  
ლოდ იმით იმართლებენ, რომ ქართველებს  
ლანძლენ და აღარებენ მათ თითქმის ველურ ხალხს.  
ს. მწუხაროდ, ჩვენშიც იპოვებიან ამისთანა პარები.  
ჩვენდა სასიამოენო ბევრი ისეთი ლიტერატორები  
მოიძებნებიან ჩვენში, რომელნიც მის მავირ რომ  
გაფანტონ ასეთი შემცდარი აზრი ზოგიერთი რუსე-  
ბისა, განვეგბ თვითონ ავრცელებენ მრუდე აზრს სა-  
ქართველოზე და ქართველებზე.

დროა, ვეონები, დაახლოევებით ვაიცნონ სა-  
ქართველო, რომელსაც ყველა კეთილ-მოაზრე რუსები  
სივლიან რუსების სამეფო გერმანიის ერთ საუკეთესო  
მარგალიტად; დროა არ გაუკონონ ამ გაბოროტე-  
ბულ პირთა, რომელნიც უთანხმოებას სოევენ რუსებსა  
და ქართველებს შორის. ამ უკანასკნელ ხანებში

\*) ა. „მწუმარი“ № 3 1888 წ.

ეს არა სასამართლო მოკლენა უკვე შეწიშება ზოგიერთმა განათლებულმა რუსებმა და ცალკევნ გამჭანტონ ზოგიერთების შემცდარი აზრი საქართველოში. ამას წინეთ ჩენ წავიკითხეთ რუსის გამოჩენილი მწერლის ბ. მარჯვის მოგზაურობის შენიშვნები, რომელიც მას შეუდგენია საქართველოში მოგზაურობის დროს; ამ შენიშვნების წაკითხეას ურჩევთ ზოგიერთ რუსებს, რამელთაც შემცდარი წარმოდგენა აქვთ საქართველოშე.

ქდაგებათი სიტყვა-მოძღვრებაზე რუსეთის ეპკლესიებში და სამლოცველოდ ხალხის მოგზაურობა რობა რუსეთის შესანიშნავ მონასტრებში.

რუსეთში მღვდელთა ქადაგებითი სიტყვაზე დიდი ყურადღება აქვთ მიქცეული. როგორც სატახტო ისე ყველა ქალაქების მართლ-მაზიდებელ სამღვდელოებას ვალად აქვთ დაგვენილი, რათა კვირა-დღესასწაულ დღეებში წარმოსთქვნი სიტყვები. რომელ ეკვლესიში, სახელ-დობრი რომელმა მღვდელმა უნდა წარმოათქას 1917- წადაგება, ეს თითქმის წლის დამდევს იურან ეპარქიალურ უწყებათა საშუალებით, რომელშიც იძექდება ეს წინ-და-წინ. დანიშნულ დროს ალიშნულ ეკვლესიში უკუად წარმოითქმება სიტყვა. სიტყვები ყველა მქადაგებელს წინ-და-წინ, თითქმის ნახევარი წლით, აქვთ დამზადებული. დანიშნულ დროს მქადაგებელი გამოდის ამბობნზე და ამბობს სიტყვას ზეპირად და ან რვეულ-ში კითხულობს. ხალხი ისმენს ქადაგებას. მქადაგებელი, გაათავებს თუ არა ქადაგებას, მიდის ტრაქეზში. მს წერი ყველგან მტკიცეთ სრულდება ყველ სამღვდელო პირთაგან. წლის გამთავეს ნამსახურებითა სიში ინიშნება, თუ რომელმა მღვდელმა რამოდენი სიტყვა-ქადაგება წარმოსთქვა წლის განმავლობი ბაში. იმას აჩვენ ჰკიოთხულობს, თუ რა ნაყოფი მოიტანა ამდენმა წარმოთქმულმა სიტყვა-ქადაგებამ? თუ არ მოიტანა ნაყოფი, რამ შეუშალა ხელი და ან რა გარემოება აბრკოლებდათ მქადაგებლებს, რომ მათმა ქადაგებამ კეთილი გავლენა არ იქნია მსმენებელებზედ? აი კითხები, რომლებზედაც ჩენ გვინდა მოველაბარაკოთ აქ ჩენ მკითხველებს...

როგორც მაცხოვარი გვამცნებს, სიტყვა არის თესლი. როგორც თესლი, პოსიქი ნიადაგზედ დათესილი, აღმოცენდება და ნაყოფს მოიტანს, ისე ქადაგების სიტყვა, დათესილი ხალხთა გულში და გონებაში, აღმოცენდება და ნაყოფს მოიტანს. თესვის წინად ყურადღებას აქცევენ მიწის ნიადაგის შემუ-

შავების, რომ დათესილი თესლი აღმორძინდეს და ნაყოფი მოიტანს. მთესველმა უოუოდ უნდა იცოდეს დასათესი მიწის ნიადაგი, მისი თესება, მისი სიკეთე და ნაკლულებარება. ზოგიერთი თესლი სრულებით გამოუდევკარია ზოგიერთი ნიადაგისათვის. ამისთანა ნიადაგზე თესლის თესება ფუჭი და ამაოა. მრთი სიცუკეით მთესველმა ბევრ რამეს უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მისგან დათესილი თესლი უნაყოფოდ არ დალაპტეს მიწაში.

როდესაც ხედავ მთესველი, რომ შეწიგან დათესილი თესლი ნიადაგზედ არ დგება და სრულებით არ ეკარება მას, როგორც მუხუდოს თესლი კედელს, უსამართლობა იქნება, ტყუილა დაბნიო თესლი. საქმაო არ არის მთესველისათვის, რომ მან დასთესოს; ის უნდა ფიქრობდეს და ეცადოს, რომ მისგან დათესილი თესლი აღმოცენდეს ნიადაგზედ და ნაყოფი გამოიღოს...

ჩენ რომ დღეს ქადაგებითი სიტყვის მთესველებს დავაკვირდეთ, შეწიგნება, სამწუხაროდ, რომ მქადაგებელნი ხშირად მარტო იმაზედ ზრუნავენ, რომ თავიანთი სიტყვა-ქადაგება წარმოსთქვან დანიშნულ დროს, ბრძანებისა მებრ, წარმოსთქვან, რაც შეიძლება მჭერ-მეტყველურად და სხეაზედ აღარაუერს ფიქრობენ. ამიტომაც ეხლანდელი დროის სიტყვა-ქადაგებას, სამწუხაროდ, არა აქვს ცხოველი გავლენა მსმენელებზე და არ მოაქვს ის ნაყოფი, რომელსაც ყველანი გულით და სულით მოველათ. რა მიზეზი უშლის ხელს მქადაგებელს? რა აბრკოლებს მქადაგებელისაგან დათესილი თესლის აღმოცენებას და ნაყოფის გამოღებას?

პვილოთ რუსეთის პირველი ქალაქების ეკკლესიები. აქ მლოცველი ხალხი იშეიათად გაიგონებს მღვდელისაგან წარმოთქმულ ასამაღლებელს. ზოგიერთ ეკკლესიებში, თუ დიდი ხმა არა აქვს მთავარ-დიაკონს, მის ხმას ამბობნიდამ ვერ გაიგონებ.

რუსეთში ტაძრები, თითქმის, ყველგან დიდნი და ერცელნი არიან, განსაუთორებით სატახტო ქალაქებში. ხალხს გულით უნდა, რომ მოისმინოს ქადაგება და შეიტყოს მქადაგებლის დარიგება, მაგრამ მქადაგებლის სიტყვას ძლიერ იშეიათად გაიგონებს, თუ ძლიერ ახლოს არა სდეას მქადაგებელთან, და ყველა ხმა მქადაგებელთა სიახლოეს ერ დაღვება... ამისათვის ქადაგების და მოძღვების შინაარსი მღვდელების ძლიერ მცირე ნაწილს ესმის. მს ერთი მიზეზი.

ჩემი მოგზაურობის დროს თითქმის ყველა სა-  
ტახტო ქალაქების ეკულესიებში ვაკირდებოდი მქადა-  
გებლების სიტყვა-მოძღვრებას და მლოცველებს  
და ყველგან დავრწმუნდი იმაში, რომ ტაძრებში წარ-  
მოთქმული სიტყვა - მოძღვრებანი მლოცველების  
ძლიერ მცირ ნაწილს ესმის და უმეტესობისათვის კი  
გაუგებარია. ყველა სიტყვა-ქადაგებანი და მოძღვრე-  
ბანი ისე არიან შედგენილნი, რომ მსმენელთაგან  
ათასში ასი კერ გაიგებს მათ.

მართალია, რომ ყველა მსმენელების გასაგებად  
ქადაგების დაწერა ქალაქების და დაბების მღვდელ-  
თათვის ძლიერ სამნ ელოა, რაღაც მსმენელები სულ  
სხვა-და-სხვა სწავლისა და ცოდნისანი არიან. ამასთან  
არც ის უნდა დავიტყოთ, რომ ძნელია მქადაგებ-  
ლისათვის ნახევარი წლის წინად შედგენა ქადაგებისა,  
რაღაც მას არ შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი  
მსმენელები ეყოლება მას ტაძრები ქადაგების დროს.  
შრისტე-მაცხოვერის ეკულესიაში მოსკოვში ჩენ დავი-  
წარით წირვაზედ ერთ კვირა დღეს. ზანიცადენის დროს  
გამოიერდა მქადაგებლები და წარმოსთქა. მშვენიერი ქა-  
დაგება; საღმრთო წერილის სიტყვები თავისი აზრები-  
სა და სიტყვების დასამტკიცებლად მშვენიერად მოჰ-  
ყავდა თავ-თავის დროზე. მან გაათავა ქადაგება და შე-  
ვდა ტრაპეზში. მლოცველები, უმთავრესად სოფლის  
უბრალო ხელში იყო, და დამტკიცებით ზეგვიძლია  
ესთქვათ, რომ ჩენს გარდა ამ ქადაგების სიტყვები  
არავის არ გაუგია.

მაგრამ ჯელა ეკულესიებზე და ყველა მქადაგე-  
ბლებზე არ ისტომის ქს. მაგრა თებრ, აღლოთ საკურევის  
საკათედრო სობორო და ამ ტაძრის მქადაგებლები.  
აქ ქადაგებას ვმიმდინდება კი არ წარმოსთქმენ ხოლ-  
მე, მქადაგებელ თათვის კათედრა ითიქმის ზუაგულ  
ეკულესიაშია მოწყობილი ეკულესის ერთ სვეტზე.  
მქადაგებელი შუა ეკულესიაში დგას და სამი საეჭნის  
სიმაღლიდან დასკერის მლოცველებს.

მქადაგებლებიც სწორედ შესანიშნავნი გამოდიან  
ამ კათედრაზედ. 15 მაისს, გვირგვინოსნების დღესა-  
წაულ დღეს სიტყვა წარმოსთქა აქ ერთმა დეკანზმა,  
რომლის სიტყვა გვილში ხვდებოდა მლოცვე-  
ლებს. სიტყვა ყველას გასაგონად იყო წარ-  
მოთქმული, მაგრამ ამასთანა მოწყობილებას და  
ამისთანა მქადაგებელ მლოცვებს იშვიათად შეხვდე-  
ბით სხვაგან...

დღეს, მადლობა ღმერთს, ყურადღება მიაქციეს  
ქადაგების ყველა ნაკლულევანებათა და ცილიობდენ,  
რომ სიტყვა-მოძღვრებანი დაწერილნი იყენება  
ხალხის გასაგონად, შეთვისტებულნი და მოთავსებულნი  
მქადაგებელთა თავზივე ისე, რომ ურვეულოდ შეე-  
ლოს მათ სიტყვების წარმოთქმა. ზოგიერთ ადგილის  
მქადაგებლები, გომილეთიკის წეს-წყობილების და  
კანონების სრულებით არ უყურებენ, სიტყვა-მოძღვრე-  
ბას წარმოთქმენ ძღაბოურად და ხალხის გასაგონათ.  
და ხელში ამისთანა სიტყვა-მოძღვრება უფრო მის-  
წონს, ვინემ გრძლება და მშევრ-მეტყველურად დაწე-  
რილნი.

მეორე გარემოება, რომელ მაც ჩვენი ყურადღე-  
ბა მიიქცია ამ მოგზაურობის დროს, არის ხშირი  
მოგზაურობა რუსის ხალხისა სალოცავად წმიდა ად-  
გილებში. ჩვენ ვნახეთ აუარებელი მლოცველები,  
ზორეული ადგილებიდან მოსულნი სალოცავად, სერ-  
გიევის ლავრაში, მოსკოვის სხვა-და-სხვა ეკულესიებში  
და მონასტრებში და განსაკუთრებით ყველაზე მეტი—  
ძიებში. ზოგიერთ მლოცველებს გამოვითხეთ ჩენ,  
თუ სიოდენ არიან ისინი, რამდენი დღე მოგზაურობენ,  
როდის მივლიან შინ და ვინ პატრიონობს მათ ოჯახებს?  
«მრთი ითვეა,— რაც შინიდგან წამოესულვართ. შინ  
დამტუნებებსაც ერთ თვეს მოუნდებით. ჩენს იჯახებს  
პატრიონობს ლავრა... მტყობათ, რომ ყველა მლოც-  
ველები თითქმის ძლიერ ღარიბნი არიან, მაგრამ რო-  
დესაც შეწირულებაზე მიღება საჭმე, გაოცდებით  
მათი შეწირულების უხვობით. ზოგი მათგანი დაი-  
რება აქეთ-იქით, ფულს თხოვით აგროვებს და შემ-  
დეგ იერუსალიმში მიღის!..

მს რელიგიური გრძელია ძლიერ კარგი და მო-  
საწონია, მაგრამ რიგია, რომ ამ მლოცველების ეკუ-  
ლომოურ მდგომარეობაზე ყურადღება იქმნეს მიქ-  
ცეული. რიგია, ამ ხელში ჩააგონონ, რომ მათ  
იაცის ეკულესიებზედაც იძრუნონ სოფლებში...

ამასთან ბევრი რამ საინტერესო და შესანიშნავი  
ვნახეთ და შეერტყოთ ამ ჩენ მოგზაურობის დროს  
რუსეთში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ; ყველაზედ  
აქ კერ ვილაპარაკებთ, ჩვენო მკითხველო.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

ძლედლის სამსახურისადმი მოწოდებაზე.

შემძლია მე თუ არა მღვდელობა? ხომ არ ითხოვდინ ჩემგან რაიმე განსაკუთრებითი პირობანი, რომ ალვარული მღვდლის სამსახური ისე, როგორც გვრჩებანებს ღმერთი და მისი წმიდა ეკკლესი? — აი რა და რა კითხვებზე უნდა მოუყოს ჯერ ჰასტები ძღვდელობის მურველმა პირმა. მს კითხები მეტად არსებითნიარიან და ამიტომ მათ ახსნაზეა დამოკიდებული ძღვდლის მომავალი: იქნება იგი ჭერიარი მწყემსი ქრისტესი, თუ გამოუსადევე მოჯამეგირე? ამ პირები ნაძრზე არის დამოკიდებული როგორც მშენილია და კუთრი დღეობა მისი ქვეყნიური ცხოვრებისა, ეგრეთ კუ ხაიქო უკედავი ბეჭი მ.სიც და მისდამი ჩხმუნებული ძრესტეს სამწყლოებრა. — მსუთი პირობანი არიან, სახელისმისა: მოწოდება და მოძიადება მღვდელობისადმი. დღეს განვიხილოთ პირველი ამ პირობათაგანი.

ჯერ ეს კითხვა განვმარტოთ: მართლა არის რაიმე მოწოდება ძღვდელობის სამსახურისადმი, თუ ის მდგომარეობს ჩხოლოდ კაცის სურველში? ადამიანებს რომ დაუკავიდეთ, დავინახავთ, რომ ზოგ მათგანს აქვს ნიჭი და მითირეკილება ერთ გვარ საქმისადმი; და ზოგ კი სხვა გვარ საქმისადმი და ეს ნიკიერებანი და ბიდრეკალებანი ერთნევათ ხოლმე მათ ყმაწერლობრდებანე ერთ უფრო ეხალისება ფიზიკური შერმა, მეორე ჩემს ნიჭს და ხალისს მეხანიკურ საქმეებში, ხელოსნობაში, მესამე უფრო ეტანება გონიერი შრომას, ერთი უფრო დაჯილდოებულია შემოქმედებითი და პოელური ნიჭით, ზოგისთვის ღმერთს მიუკარ დრა და გრძელებილი კუუა, ზოგი იჩემს მათემატიკურ ნიჭს, ზოგში არის ნიჭი და მიმართულება მაღალ ხელოენებრძელმი: მუხიისა და მხატვრობისა და სხვ. სად არის წყარო ამ ნიკიერებათა და მიღრეკილებათა სხვა-და-სხვა საქმეებრსადმი? მართლია, რომ ჩრდილებს მაგალითს, ანუ სახოგადოებისა, სადაც იჩრდება ბავრები, უექველი გავლენა აქვს ბავრების სულის განვითარებაზე და ზოგჯერ კიდევაც უღრებელი და უხსნის მას ნიჭს ერთი როგორი შე განსაკუთრებით საქმეზი. მაგრამ უფრო ხშირად ამიტონა გარე ეგანი გავლენით არ შეგვიძლია აქსნათ ეს ნიჭი და მიღრეკილებანი. სადღარ უპოვოთ მიზეზი იმ მიღრეკილებითა და ნიჭთა ბავრების რიგი, რომელთაც მოკლებულნი არიან ზოგჯერ მათი მშობლები და ის სახოგადოება, სადაც ეს ბავრები აღჩა-

ღილან? რო გორ აქსნათ და შევიგნოთ ის სხვა-და-სხვაბა ნიჭთა და მდგრადებათა ერთი და იგივე ოჯახის ბავრებთა წორის, რომელნაც ერთად იჩრდებიან ერთსა და იმავე პირობათა წორის? გარეგანი ზედ-მოქმედებით ამის ახსნა არ შეიძლება. უსათუოდ უნდა იღვიაროთ რაიმე თან-წორელი, ცეოთისაგან მინიჭებული — ეს თან-შობილი მიღრეკილება არის, სახელობ, მოწოდება, რომელსა შეგვიძლია უწოდოთ დროუბით, ჰეჭირებით.

